ეკონომიკური ზრდის ტემპი

II კვარტალი, 2022 წელი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის II კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 3.3% დაფიქსირდება. მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა 2022 წლის მეორე კვარტალში განპირობებულია წინა წელს დაწყებული გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის და გამოცოცხლებული საგარეო ვაჭრობის შენარჩუნებით, მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკის ზრდის საბაზისო ეფექტი იყო მნიშვნელოვნად მაღალი (2021 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკა გაიზარდა 28.9%-ით). უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის მაღალი ზრდის ტემპი შენარჩუნდა ასევე 2022 წლის I კვარტალში. კერძოდ, ჯეოსტატის წინასწარი მონაცემით 2022 წლის I კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 14.4%-ით განისაზღვრა.

საბიუჯეტო ოფისის 2022 წლის II კვარტლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2021 წლის მეორე კვარტალთან შედარებით:

⇒ ტურიზმის **მოცულობა დაახლოებით 2.4-ჯერ გაიზრდება** (2019 წლის II კვარტლის პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 2.3-ჯერ ნაკლები). ამავე დროს **გაიზრდება ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რიცხოვნობაც**.

⇒ ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად **კვლავ შენარჩუნდება** შიდა ტურიზმის აქტივობა.

⇒ **გაიზრდება როგორც კერძო მოხმარების, ისე ინვესტიციების მოცულობა,** რაც განაპირობებს მთლიანი მოხმარების და ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.



*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს დიაპაზონს, რომელშიც მშპ-ის ზრდის ტემპი იქნება მოცემული. ინტერვალის შეფასება მიღებულია ცენტრალური პროგნოზისა და გასული წლების კვარტალური ეკონომიკური ზრდებიდან ±0.5 სტანდარტული გადახრის ჯამით.

⇒ მომსახურებით ვაჭრობის ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდაც.
⇒ მთავრობის საინვესტიციო აქტივობების ზრდასთან ერთად, გაზრდილი მოხმარების და კერძო ინვესტიციების პარალელურად მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად **გაიზრდება საქონლის იმპორტის რაოდენობაც**.
⇒ გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად, **გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.**

აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია, რომ 2022 წლის მეორე კვარტალში ექსპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე იმპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი 1.9%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მშპ-ის ცვლილებას 1.4%-ული პუნქტით განაპირობებს*. საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, 2022 წლის I კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში წმინდა ექსპორტი 1.6%-ული პუნქტით, ხოლო აბსორბციის კომპონენტი 12.8%-ული პუნქტით განისაზღვრა.



*2022 წლის II კვარტლის მშპ-ის ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.

დამატებითი ინფორმაცია:

- [წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები]
- [განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ]